41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ჩოხატაურელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ჩოხატაურის მერობის კანდიდატისა და ჩოხატაურის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ჩოხატაურის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩოხატაური და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 3 მლნ 703 ათასი ლარი იყო, 2021 წელს საპროგნოზო მდგომარეობით – 8,4 მლნ ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – 2013 წელს ჩოხატაურის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით მხოლოდ 3 მლნ 66 ათასი ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზოდ 8,3 მლნ ლარია.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დააფინანსა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (ინვესტიცია 2 043 153 ლარი, თანამონაწილეობა 817 261 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 31 ჰექტარზე განხორციელდა 47 პროექტი (ჯამურად 912 610 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით** 358-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, ჯამურად, 2014-2021 წლებში, დაზღვეულია 164 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 702 915 ლარი). **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეს მოქმედებს 10 კოოპერატივი (122 მეპაიე, კაპიტალი 873 650 ლარი). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** სახელმწიფოს მხარდაჭერით, 2016-2021 წლებში, დაკონტრაქტებულია 5 ჰექტარი (12 875 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 3 758 493 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 782 597 ლარი), რითაც 64-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. 2020 წლიდან ამოქმედდა **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** და დღემდე დაფინანსდა 2 პროექტი (ჯამურად 102 415 ლარი, თანადაფინანსება 51 208 ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად, საშუალოდ დაამუშავა 2 555 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 12 780 ჰექტრი. შედეგად, მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 საწარმო (ჯამურად 4 751 444 ლარი, დასაქმებულია 26 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 465 640 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 639 449 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 65 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 41, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 24 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2013-2021 წლებში, **გურიის რეგიონში, აშენდა 4 ჰიდროელექტროსადგური** (ბახვი 3, ნაბეღლავიჰესი, საშუალაჰესი1 და საშუალაჰესი2), რომელთა დადგმული სიმძლავრე ჯამურად 24,5 მგვტია, წლიური გამომუშავება 106 მლნ კვტ/სთ.

მშენებლობის, ლიცენზირების ან კვლევის ეტაპზეა 12 ჰესი;

- **ზოტი ჰესების კასკადი** – დადგმ. სიმძლავრე 46,07 მგვტ, ინვესტიცია 104 მლნ აშშ დოლარი;
- **ბარამიძე ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 7,8 მგვტ, 15 მლნ აშშ დოლარი;
- **გუბაზეული6 ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 3 მგვტ, 4,8 მლნ აშშ დოლარი;
- **ხევი ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 3 მგვტ, 4,8 მლნ აშშ დოლარი;
- **გუბაზეული ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 8,5 მგვტ, 11,8 მლნ აშშ დოლარი;
- **ბახვი1 ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, 16 მლნ აშშ დოლარი;
- **ბახვიჰესი 2** – დადგმ.სიმძლავრე 36 მგვტ, 30 მლნ აშშ დოლარი;
- **ნატანები 1** – დადგმ.სიმძლავრე 6,3 მგვტ, 7,1 მლნ აშშ დოლარი;
- **ნატანები 2** – დადგმ.სიმძლავრე 10,1 მგვტ, 9,6 მლნ აშშ დოლარი;
- **ნატანები 3** – დადგმ.სიმძლავრე 9 მგვტ, 10,3 მლნ აშშ დოლარი;
- **მაკვანეთი ჰესი 1** – დადგმ.სიმძლავრე 1,3 მგვტ, 2,4 მლნ აშშ დოლარი;
- **მაკვანეთი ჰესი 2** – დადგმ.სიმძლავრე 0,8 მგვტ, 1,5 მილიონი აშშ დოლარი.

2013-2017 წლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 5 385 აბონენტს **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** დაუმონტაჟდა. 2013-2021 წლებში **გაზიფიცირებულია** ჯამურად 7 651 აბონენტი. ხელისუფლების გეგმით, 2021-2024 წ.წ. განხორციელდება 3 სოფლის (ჩომეთი, კალაგონი, მამულარი) გაზიფიცირება (252 აბონენტი).

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს, **პირველად საქართველოს ისტორიაში,** საქართველოს 4 დაცული ტერიტორია: მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები **„კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა** და მსოფლიოს 213 ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაშიღირსეული ადგილი დაიკავა. გადაწყვეტილება ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიიღეს. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები მდებარეობს საქართველოში, აჭარის ა/რესპუბლიკაში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები, წარმოადგენს კავკასიის ეკორეგიონისა და შავი ზღვის აუზის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. კოლხური ტყეები და ჭარბტე-

ნიანი ტერიტორიები გამოირჩევა მისი უნიკალური ეკოსისტემებითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით.

2020 წელს მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** მომზადებულია ტყის მართვის 10-წლიანი გეგმა. 2019-2020 წლებში ტყის აღდგენა-გაშენების სამუშაოები განხორციელდა 36,9 ჰექტარზე. 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით მოსახლეობაზე გაცემულია 20 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.**

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად ახორციელებს ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, ავრცელებს ამინდის პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. 2019 წელს, **ბახმაროში,** დამონტაჟდა და გაიმართა მაღალმთიანი ავტომატური **მეტეოროლოგიური სადგური.** დაკვირვების მონაცემები ჩაერთო მონაცემთა გავრცელების მსოფლიო ქსელში, რაც ხელს უწყობს ამინდის პროგნოზების ხარისხის გაუმჯობესებას.

გეოლოგიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ატარებს **სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგს,** ფორსმაჟორულ სიტუაციაში ოპერატიულად აფასებს მდგომარეობას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, ჩატარდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. პროექტით „ღვინის გზა“ განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება/მონტაჟი. ასევე, პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ღირშესანიშნაობების კვლევა და მონაცემთა ბაზის შექმნა“. 2014-2020 წლის განმავლობაში, **ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით** გაიმართა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისათვის.

ტურისტული პოტენციალის განვითარების მიზნით, დაგეგმილია შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, ახალი ტრენინგების ჩატარება და ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა ღონისძიებები.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ჩოხატაურში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 23,2 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 14,5 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ამჟამად ჩოხატაურში, **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, მიმდინარეობს მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად, მუნიციპალიტეტის 26 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 3 249 ოჯახს **მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის** საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, ჩოხატაურში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 2 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, 4 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება (3000-ზე მეტი ოჯახი). **ჩოხატაურში დაგეგმილია ან უკვე მიმდინარეობს შემდეგი წყალმომარაგების პროექტები:** სოფ. ხიდისთავში წყლის სისტემისა და სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია (726 886 ლ); სოფ. ზემოფარცხმაში სასმელ-საყოფაცხოვრებო წყლის დამატებითი ქაბურღილის მოწყობა (246 011 ლ); დაბა ჩოხატაურში წყალმომარაგების სათავე ნაგებობის სატუმბი სადგურისა და მაგისტრალური წყალდენის პროექტირება/მშენებლობა (2 500 000 ლ); კურორტ ბახმაროში წყალარინების სისტემებისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (750 000 ლ).

2021-2022 წლებისთვის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. კოხნარი-საჭამიასერის გზის რეაბილიტაცია – 600 889 ლარი
- სოფ. ბუკნარში გზის მოასფალტება – 313 333 ლ;
- სოფ. ბჟოლიეთში შიდაგზების, ხიდების, ნაპირსამაგრის, წყლაგამტარი მილებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია – 97 775 ლ;
- სოფ. ინტაბუეთში საავტომობილო გზაზე ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები – ინვესტიცია 233,918 ლ;
- სოფ. გუთურში, ცინცაძისა და კალანდაძის ქ. რეაბილიტაცია – 354 895 ლ;
- სოფ. შუა ამაღლებაში ს/გზის რეაბილიტაცია (ჯიბუტნების უბანი) – 219 709 ლ;
- სოფ. ბუკისციხეში შიდაგზების რეაბილიტაცია – 97 816 ლ;
- ერკეთი-ონჭიქედის მიმართ. ს/გზის რეაბილიტაცია – 395 775 ლ;
- სოფ. შუა ფარცხმაში გზის ა/ბეტონისა და ბეტონის საფარით (მეგრელიშვილებისა და შავაძეების უბანი) მოწყობა – 386 836 ლ;
- სოფ. ზემო სურებში, შიდაგზების რეაბილიტაცია – 67 005 ლ;
- სოფ. წიფნაგვარაში სანიაღვრე არხებისა და გზის სავალი ნაწილის მოწყობა – 47 719 ლ;
- სოფ. შუა სურებში შიდაგზების რეაბილიტაცია – 40 155 ლ;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები – 730 000 ლ;
- გოგოლესუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდაგზების სარეაბილიტაციო სამუშაოები (III უბნის გზა) – 270 302 ლ;
- ჩოხატაური-დაბლაციხე-ბუკისციხის გზის რეაბილიტაცია (ორმული შეკეთება) – 170 000 ლ;
- სოფ. ზემოხეთში შიდაგზების რეაბილიტაცია – 50 000 ლ;
- ბუკნარი-ქვენობანი-ხიდისთავის გზის რეაბილიტაცია – 1 000 000 ლ;
- ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის 23,3 კმ სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია – 22 821 000 ლ.

სოფელ ინტაბუეთსა და ბუკნარში, ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის დასრულებული სამუშაოები

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔ: „ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑ ᲓᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐᲖᲔ!“

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔᲡ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲐᲥ ᲛᲐᲡᲐᲪ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡᲐᲪ. ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲘᲧᲝ. ᲑᲔᲑᲘᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲐ. ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲗ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲛᲐᲪ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲝ. ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲕᲘᲜᲪ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲨᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲔᲓᲘᲙᲐᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲓᲐ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲜᲘᲡᲘᲐᲓ ᲐᲜ ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲝᲓᲐᲪ ᲙᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲕᲘᲜᲪ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲠᲘ�გᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲐ ᲓᲐ 2011 ᲬᲔᲚᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲜᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔ-ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ ᲘᲧᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲐᲠᲘᲪ ᲨᲔᲡᲬᲔᲕᲓᲐ. ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲐᲛ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ. ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲘᲐ – 27 ᲬᲚᲘᲡ. ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲙᲛᲐᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲒᲠᲝᲕᲐ. ᲡᲣᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ, ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲡ ᲛᲝᲐᲮᲛᲐᲠᲝᲡ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘ, ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐ, ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ, ᲛᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲝ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲣᲛᲐᲒᲠᲔᲑᲡ. ᲐᲠᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛ, ᲠᲐᲪ ᲥᲕᲔᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲦᲫᲠᲐᲕᲡ – 2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘᲐ, 28 ᲬᲚᲘᲡ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲖᲔᲘᲛᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲣᲚᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲘᲡ. ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲐ ᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲗᲐᲜ, ᲠᲐ ᲒᲔ�გᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲛᲐᲛᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲔᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲜᲐ:

დაიბადა 1993 წლის 2 ოქტომბერს, ჩოხატაურში; 2011 წელს დაამთავრა სამრეკვლო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსების და ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე; 2012 წელს გადავიდა თბილისში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფინანსების ფაკულტეტზე; 2015 წელს გაიარა ისრაელში საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო MASHAV-ის კურსი სოციალური პროგრამების მიმართულებით. 2017 წელს გახდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე. 2019 წელს ჩაიბარა ახალგაზრდული ორგანიზაცია.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

– ჩოხატაურში დავიბადე და გავიზარდე. სკოლაც აქ დავამთავრე. ხშირად ვხუმრობ, ჩოხატაურში ჩემი თაობის ვინც არის, ყველა ჩემი კლასელია-მეთქი. ამ ხუმრობაში სიმართლის დიდი მარცვალია – პირველ საშუალო სკოლაში შევედი. შემდეგ გიმნაზიაში გადავედი, რომელიც, მე-9 კლასში ვიყავი, როცა გაუქმდა. დავბრუნდი ისევ 1-ელ სკოლაში, თან გიმნაზიის მთელი კლასი გადმოვიყოლე და საგანგებოდ ჩვენთვის, სკოლაში ცვლა დაამატეს. მე-10 კლასში ვიყავი, გიმნაზიის შენობაში საპატრიარქომ სამრევლოს სკოლა გახსნა და საბოლოოდ, ეს სკოლა დავამთავრე. უამრავი მეგობარი მყავს. ჩოხატაური ჩემთვის არის სიყვარული, ბავშვობა, აქ ვისწავლე მეგობრობა, უფლის, ქვეყნის სიყვარული.. სტუდენტობის დროს თბილისში პარასკევს სულმოუთქმელად ველოდი, მაშინვე აქ გამოვრბოდი. ჟრუანტელი უკვე სამტრედიიდან დამივლიდა ხოლმე. ჩოხატაურშია ჩემი წინაპრების საფლავიც და ყოველთვის აქ ვიცხოვრებ, არსად წავალ. ისე, ჩემი ყველა წინაპარი – დიდი ბებია-ბაბუა, ბებია-ბაბუა... ექიმი იყო. დიდი ბაბუა ექიმი სოსო გოგოლაძე, ომის მონაწილეც გახლდათ. ბებია ცისანა გოგოლაძე კი, დღესაც, 78 წლის ასაკში აგრძელებს ოჯახურ ტრადიციას, მოქმედი ქირურგია და „მედ-ალფას“ კლინიკაში მუშაობს. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ და ჩემი ოჯახის ბურჯია. ის ჩემი და მთელი ჩოხატაურის დიდი იმედია. დედა ადრეულ ასაკში გარდამეცვალა. მამა, დავით შარაშიძეც პროფესიით ექიმი იყო, მაგრამ ავტოკატასტროფაში მოყვა, ეტლში ჩაჯდა და პროფესიით ვერ მუშაობდა; ამიტომ, ჯერ ბიზნესსაქმიანობა დაიწყო, შემდეგ კი პოლიტიკურად გააქტიურდა. 2011 წელს, მამამ დააფუძნა ბიძინა ივანიშვილსა და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ლიდერებთან ერთად „ქართული ოცნება“ და იყო ამ პარტიის სულისჩამდგმელი. საკრებულოს წევრიც გახლდათ და კომისიის თავმჯდომარეც სოციალურ საკითხებში. ეს მიმართულება თვითონ აირჩია. ეტლით მოსარგებლე ფიქრობდა, რომ მიეცემოდა შანსი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის უფრო დიდი ყურადღება მიექცია. სხვათა შორის, არაერთი ინიციატივა ჰქონდა. მათ შორის, ერთ-ერთი უკვე ყოველწლიურად ხორციელდება – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ბავშვები ურეკში მიდიან რეაბილიტაციის მიზნით 2 კვირით. ამ პროექტის დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება.

– ალბათ გისაუბრიათ მამასთან, რატომ გააქტიურდა პოლიტიკურად და „ქართული ოცნების“ დამფუძნებელთა რიგებში რატომ ჩადგა?

– იმიტომ, რომ ნაციონალებმა ქვეყანა ააოხრეს. არ ვფიქრობ, რომ ეს გადაჭარბებული, გაზვიადებული შეფასებაა. საკუთარ მაგალითს მოგიყვანთ. მოგეხსენებათ ჩოხატაური პატარა მუნიციპალიტეტია. აქ პირველი აფთიაქი მამამ გახსნა. ხალხს ეხმარებოდა – ნისიადაც გასცემდა წამლებს და გაჭირვებულებს ჩუქნიდა კიდეც. ერთ დღეს, 2010 წელს, შემოსავლების სამსახური შემოვიდა, აღწერეს და წარმოიდგინეთ, ჩოხატაურში დაგვაჯარიმეს 389 ათასი ლარით. თუკი რამ შექმნა ცხოვრებაში ჩემმა ეტლით მოსარგებლე მამამ, რაც გვებადა, ყველაფერი დაგვიყადაღეს. ამხელა თანხას ვერ გადავიხდით, წარმოუდგენელი იყო. დაიწყო სასამართლო პროცესები, რაც დროში გაიწელა. ჩოხატაურში ჩვენზე გადატყდა ჯოხი, თორემ სხვა მუნიციპალიტეტებში და თბილისში, ყველა ასეთ შავ დღეში იყო და 2011 წელს, მთლიანად საზოგადოება, მთელი ქვეყანა შეთანხმდა, რომ იმ რეჟიმისთვის უნდა ეთქვათ – არა!

– ექიმის შთამომავალს სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარებაზე არ გიფიქრიათ? მამის საქმიანობის გავლენით აირჩიეთ პროფესია?

– სხვათა შორის, სულ იყო საუბარი, რომ მეც ექიმი უნდა გამოვსულიყავი. ბებიას უნდოდა ძალიან, მაგრამ მე არ მიყვარდა ეს პროფესია. საშინელი გრაფიკით მუშაობდნენ – ღამე და დღე არ იცოდნენ. როცა პაციენტი იყო ცუდად, ისინი მასთან უნდა გაჩენილიყვნენ და დახმარებოდნენ. პროფესიის არჩევისას, დიახ, მამის საქმიანობამ იმოქმედა. გადავწყვიტე ეს სფერო კარგად შემესწავლა, მამას დავდგომოდი გვერდით და შემდეგ ჩვენი საქმის სათავეშიც ჩავმდგარიყავი. სამწუხაროდ, მამა 2017 წელს გარდაიცვალა. წარმოიდგინეთ, სტუდენტი ჩამოვედი ჩოხატაურში, მამა აღარ მყავს და ამხელა პრობლემის წინაშე ვდგავარ. ჩამოვედი თან ისეთ დროს, რომ 1 კვირაში სახლ-კარი და ყველანაირი ქონება აუქციონზე უნდა გაიტანონ. უფლის წყალობით და ძალიან ბევრი კეთილი ადამიანის დახმარებით, დიდი ბრძოლით, გადასახადი შემიმცირდა ძირთანხამდე. შემდეგ გავყიდე სოფლის სახლი, მიწები... და როგორღაც ვალი დავფარე.

– ფაქტობრივად, მამის პოლიტიკური საქმიანობა გააგრძელეთ. 2017 წელს ჩოხატაურის საკრებულოს წევრი გახდით. აქტიური იყო საკრებულოში თქვენი საქმიანობა?

– დიახ, საკრებულოში შესვლის დღიდან დავიწყე ფიქრი იმაზე, მაქსიმალურად მეტი ყურადღება მიგვექცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. ვიხსენებდი რის გაკეთება უნდოდა მამას და ვერ მოასწრო. ეს იყო უპოვართა სახლი. შეჭირვებული ადამიანებისთვის უნდოდა სასადილოს გაკეთება. დავიწყე ამაზე მუშაობა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ამ პროექტის განხორციელება. გამარჯვების შემთხვევაში ამას აუცილებლად გავაკეთებ.

– „ქართულმა ოცნებამ“ თუ გააკეთა ჩოხატაურში ყველაფერი, რასაც ამ გუნდისგან მისი დამფუძნებელი, მამათქვენი ელოდა და რა შეიცვალა მუნიციპალიტეტში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ?

– მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, ჩოხატაურში ბევრი რამ შეიცვალა და ეს თვალსაჩინოა – ყველა ჩოხატაურელი ხედავს და აღნიშნავს. ერთ-ერთი მთავარი რასაც გამოვყოფ და რაც ჩვენი სიამაყეა, ცენტრში აშენდა კულტურის სახლი. ასევე, ჩოხატაურის ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია, რაც სრულიად შეცვლის ჩოხატაურს. განხორციელდა უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი. სიამაყით ვიტყვი, რომ თითქმის ყველა სოფელში ადმინისტრაციულ ცენტრამდე გვაქვს მოასფალტებული გზა. ასეთივე გზაა დაბაში ყველა ჩიხშიც კი.

– ჩოხატაურს ტურიზმის უდიდესი პოტენციალი აქვს. ამ მიმართულებით რა სიახლეებია მუნიციპალიტეტში?

– ტურიზმი ნამდვილად არის ჩოხატაურის განვითარების პერსპექტივა. მუნიციპალიტეტში გვაქვს ძალიან კარგი, მაგრამ ჩოხატაურელებისთვის გამოუყენებელი კურორტი ბახმარო. პირველ რიგში ამ კურორტის ინფრასტრუქტურაა მოსაწესრიგებელი. აუცილებელია გაზიფიცირება, წყალმომარაგება. ჩვენ ვიცით, რომ შემდეგ წელს 60 მილიონი იხარჯება ბახმაროს წყალმომარაგებაზე. პირველ ეტაპზე დაიქსელება მთელი კურორტი და დაახლოებით 3-4 წელიწადში, სრულად იქნება წყლით უზრუნველყოფილი. ამ პერიოდში ასევე იგეგმება გაზიფიცირება, რაც შეუწყობს ხელს ჩოხატაურელებისთვის დამატებითი შემოსავლის მიღებას, მეტი ტურისტის შემოსვლას, საოჯახო სასტუმროების განვითარებას და ეს კურორტი, ერთ-ერთი მოწინავე იქნება საქართველოში.

– სახელმწიფო დაინტერესებულ მოქალაქეებს არაერთ პროგრამას სთავაზობს სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ჩოხატაურში თუ სარგებლობენ ამ პროგრამებით?

– სოფლის მეურნეობა ნამდვილად არის სფერო, რომლითაც შეიძლება ჩოხატაური ძალიან გაძლიერდეს. ამ ბოლო დროს არის ტენდენცია, რომ

ბევრმა ფერმერმა უკვე დაიწყო მივიწყებული გურული ჯიშების გაცოცხლება და საკმაოდ კარგად მუშაობენ. ავიღოთ მაგალითად ჩხავერი. რამდენიმე წლის წინ სულ რამდენიმე ძირი იყო, დღეს კი, ამ ჯიშის „სამშობლო“ სოფელ ბუკისციხეში, თითქმის ყველა ოჯახს აქვს ეს ყურძენი გაშენებული. ადრე ჩვენთან განსაკუთრებული ადგილი ეკავა ჩაის პლანტაციებს, რომლებიც ახლა არის გაველურებული და შეგვიძლია, ჩაის კულტურა ავაღორძინოთ. ხელისუფლება გვთავაზობს პროგრამებს, რითაც შეგვიძლია ჩაის პლანტაციების მოვლა, გაშენება. აღსანიშნავია თხილი, რომელიც ჩოხატაურში დიდ ტერიტორიაზეა გაშენებული. საბედნიეროდ, ფაროსანასთან ბრძოლამ შედეგი გამოიღო, ხელისუფლების სწორი პოლიტიკით, მართვით, ეს ვერაგი მწერი დავამარცხეთ და გურული ფერმერი მიიღებს თხილის საკმაოდ დიდ მოსავალს და საკმაოდ კარგ ფასში ჩააბარებს. ასევე, მოცვი არის ჩვენი მომავლის საკითხი. მოცვს 100%-ით აფინანსებს სახელმწიფო. იმასაც კი აფინანსებს, რომ ნიადაგის ვარგისიანობა დავადგინოთ. მთავარია, ფერმერმა მოინდომოს ამ კულტურის გაშენება. ბევრმა ჩოხატაურელმა უკვე გააშენა მოცვი და საკმაოდ წარმატებით ოპერირებენ ბაზარზე.

– ჩოხატაურის ერთ-ერთი გამოწვევა ყოველთვის იყო უმუშევრობა. რა ვითარებაა დღეს ამ კუთხით, მით უმეტეს, პანდემიის პირობებში?

– ეს გამოწვევა ჩოხატაურში ისევ დგას. ამიტომაა, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა, ძალიან ჭკვიანები წავიდნენ ჩოხატაურიდან. აუცილებლად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ მათ ჩოხატაურში ცხოვრების სურვილი გაუჩნდეთ. ეს უნდა მოხდეს თუნდაც იმ სოფლის მეურნეობის პროგრამებით, სხვადასხვა წახალისებით. პანდემიის დროს ეს გამოწვევა უფრო გამძაფრდა. ადამიანებმა სამსახურები დაკარგეს. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების მიერ მოსახლეობის წახალისება შედეგიანი იყო. იმედია, ვაქცინაციის პროცესი ეფექტურად ჩაივლის. მაქსიმალურად უნდა მიხვდნენ ადამიანები, რომ მხოლოდ ვაქცინაციით შეგვიძლია დავამარცხოთ პანდემია.

– დღეს რა გამოწვევებია მუნიციპალიტეტში და რას ჰპირდებით ჩოხატაურელებს?

– გამოწვევები არის, მაგრამ მოგვარებადია. მათ შესახებ, მე, როგორც რიგითმა ჩოხატაურელმა კარგად ვიცი და რაც მთავარია ვიცით, როგორ ვუპასუხოთ. ახლა მთავარი გამოწვევა არის წყალი. ყველა სოფელში ხალხი უპირველესად წყალმომარაგებას ითხოვს. ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა, როგორ უნდა დავეხმაროთ მათ. რა თქმა უნდა ერთიანად არ მოხერხდება, ყველა სოფელში წყალი შევიყვანოთ, იმიტომ რომ ძალიან დიდ ხარჯებთან არის ეს დაკავშირებული, მაგრამ ვეცდებით, ნელ-ნელა მაქსიმალურად უზრუნველვყოთ სოფლები წყლით. ჩემი უმთავრესი ამოცანა იქნება ხალხზე ზრუნვა. მერი უნდა ავიდეს თითოეულ უბანში, შევიდეს თითოეულ ოჯახში. მათი გულისტკივილი ადგილზე უნდა აღმოფხვრას. ამ პარტიას ძალიან დიდი ნდობა აქვს საზოგადოებაში და ეს ნდობა გამოწვეულია იმით, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი ღირებულება ყოველთვის იყო ადამიანი და მისი ღირსება. ჩემთვის უდიდესი პატივია ვიყო იმ პარტიიდან წარდგენილი კანდიდატი, რომელი პარტიაც მამაჩემმა დააფუძნა. ეს არ არის ჩემთვის მხოლოდ პოლიტიკური პარტია. ეს პარტია ჩემთვის ოჯახთან, მამაჩემის ხსოვნასთან ასოცირდება და მე, განსაკუთრებული გრძნობით და პასუხისმგებლობით ვარ ამ გუნდში. შევეცდები, რომ ყველა ის საქმე დავასრულო, წამოვიწყო თუ გავაკეთო, რაც მამაჩემს, რაც „ქართულ ოცნებას“ უნდა ჩოხატაურისთვის. 2021 წლის არჩევნები საკმაოდ რთულია და სწორედ ეს არჩევნებია გასაღები ქვეყნის შემდგომი განვითარების, წინსვლისა და სტიმულირების. მზად ვარ, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად დავდგე ჩემი ამომრჩევლის გვერდით. ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, ჩემს ჩოხატაურელებს ვპირდები, რომ მზად ვარ, ყველა მათი საკითხი შეძლებისდაგვარად გადავჭრა. დარწმუნებული ვარ, პირველივე ტურში გავიმარჯვებ და ეს გამარჯვება აისახება ჩოხატაურელების წარმატებასა და წინსვლაზე. მინდა ჩემი მშობლიური მუნიციპალიტეტის ხვალინდელი დღე იყოს უკეთესი. დარწმუნებული ვარ ჩვენ ამას შევძლებთ!

დავით შარაშიძის ბავშვობის სიყვარული და დავით-უმცროსი შარაშიძე

მათი სიყვარულის ისტორია სკოლის მერხიდან იწყება. დავით შარაშიძემ მომავალი მეუღლე სამრევლოს სკოლაში გაიცნო – კლასელები იყვნენ. თამარ გორდელაძე ლამაზი, ჭკვიანი გოგო იყო და კარგად ცეკვავდა. გასაკვირი ის იქნებოდა, რომ არ შეყვარებოდა. როგორც წლების შემდეგ გაარკვიეს, ერთმანეთი სკოლის ასაკიდანვე უყვარდათ, მაგრამ რატომღაც, არ გამოუტყდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ, მათი გზები გაიყო – ორივე სასწავლებლად წავიდა. დაახლოებით 2-3-წლიანი „ტაიმ-აუტის“ შემდეგ, განგებამ ისინი ისევ შეახვედრა ერთმანეთს. მერე კი, ყველაფერი სწრაფად მოხდა – მიხვდნენ, რომ მომავალი ერთმანეთისთვის უნდა დაეკავშირებინათ და 2019 წლის 9 სექტემბერს იქორწინეს.

ბედის ირონიას ჰგავს ის, რომ ექიმების შთამომავალმა, რომელმაც თავის დროზე ექიმობაზე უარი თქვა, ცოლად საოპერაციო ექთანი შეირთო. ქალბატონი თამარი თბილისში მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის საავადმყოფოში მუშაობდა. დაქორწინების შემდეგ კი, ჩოხატაურის კლინიკაში აგრძელებს პროფესიულ საქმიანობას.

„მეუღლე არის ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი, ცხოვრების არაჩვეულებრივი მეგზური და მართლაც, მეორე ნახევარი. ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობთ, რადგან ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. საერთო სამეგობრო გვყავს. თამარი ჩემი ყველაზე დიდი მხარდამჭერია ნებისმიერ წამოწყებაში. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ოჯახი მაქვს. ჩემი ოჯახის სიმტკიცის საიდუმლო კი დიდი სიყვარული და ნდობაა“, – გვიამბობს დავით შარაშიძე.

შვილზე საუბრისას თვალები უნათდება და ხმის ტემბრიც ეცვლება. დათუნა 2020 წელს შეეძინათ. სახელზე ბევრი არ უფიქრია. ტრადიციად ჩამოუყალიბდათ, რომ შვილებს დავითს არქმევენ. თავის დროზე, მამამ, დავით შარაშიძემ, დავითი ბაბუის პატივსაცემად დაარქვა. ტრადიცია კანდიდატმაც არ დაარღვია და შვილს დავითი მამამისის პატივსაცემად დაარქვა. ეს ტრადიცია ძალიან მოსწონს. ამბობს, რომ ჩოხატაურში ერთი დავით შარაშიძე ყოველთვის იქნება.

დათუნა 2 წლისაა. ამბობს, რომ შვილს სხვა განზომილებაში გადაჰყავს და აგიჟებს. ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი სიყვარული თუ იყოო, გაგვიმხილა და დასძინა, ყველას ვუსურვებ, მშობლობა გამოსცადოსო.

ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია. ბავშვობაში ფეხბურთელობაზე ოცნებობდა, მაგრამ მამამ რატომღაც კარატეზე შეიყვანა. დაუმორჩილებელი, ცელქი ბავშვი კარატეს გაკვეთილებს აცდენდა და მოედანზე იპარებოდა ბურთის სათამაშოდ. დღეს სპორტისთვის ვეღარ იცლის. თავისუფალი დრო იშვიათად რჩება და როცა გამონახავს, აუცილებლად დათუნასთან უნდა გაიქცეს. ოჯახს მაქსიმალურ დროს, ენერგიასა და ყურადღებას უთმობს.

ყველაზე მეტად სოფელ ბუკისციხეში ჩასვლა უყვართ. აქ მას ბაბუისეული პატარა სახლი და პატარა ვენახი აქვს. ამ ვენახში მისი მამა ეტლით შედიოდა და უვლიდა. ყველაზე ხშირად შვილსაც სწორედ აქ ესაუბრებოდა სამშობლოს, ჩოხატაურის, წინაპრების, ვაზის სიყვარულზე... ტრადიციას აგრძელებს – ახლა მას ამოჰყავს აქ პატარა დათუნა. ჩხავერის, ციცქა-ცოლიკაურისა და საფერავის კვლებშიც ასეირნებს და ცდილობს, ჩოხატაურის სიყვარული ამ ასაკიდანვე ჩაუნერგოს.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილია 26 825 654 ლარი, დაფინანსდა 78 645 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1 461 436,8 ლარით 116 503 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (5 776 158 ლარით 59 795 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (14 179 380 ლარით 10 764 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (3 976 136 ლარით 4 128 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 017 269 ლარით 1 699) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (898 435 ლარით 1 574 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 3 127 ბენეფიციარი (188 304 ლარი).** 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. 2020 წელს, მუნიციპალიტეტში იმუნიზაციით **მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი** 83,5% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ჩოხატაურში,** სტაციონარული მკურნალობით 67-მა (183 073 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 970-მა პაციენტმა (82 905 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, ჩოხატაურში ანტენატალური სერვისი მიიღო 2 571-მა (დაფინანსება 145 292 ლ), მედიკამენტები – 757-მა ორსულმა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 730 პირი (172 698 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **ჩოხატაურის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. ჩოხატაურში, 2013-2021 წლებში სულ 342 შემთხვევა 601 466 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს 39 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ინფრასტრუქტურული პროექტები

2014-2020 წლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიების სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა სოფლებში: დაბლაციხე (34 124 ლ), ჯვარცხმა (33 284 ლ), დიდი ვანი (37 702l), ნაბეღლავი (16 357 ლ),ზემო სურები (47 779 ლ), საჭამიასერი (30 334 ლ). გუთური (39 409 ლ), ჩხაკაურა (6 009 ლ), ქვაბღა (3 906 ლ). სოფელ კოხნარში აშენდა ახალი სამედიცინო ამბულატორია – 90 889 ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციის, სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებები.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.
- 2021 წლიდან იგეგმება სამედიცინო მომსახურების პროგრამით ქირურგიული მომსახურების განხორციელება სარეიტინგო ქულის გარეშე.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღები (01.04,2021წ. მდგომ.) 4 629 პირია. 2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ – 6 074 884-დან 12 718 880 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 82 402 007 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ჩოხატაურში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 31 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,8-ჯერ – 49 631-დან 186 372 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 1 391 099 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. ჩოხატაურში, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 217 ოჯახია (01.04. 2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ 2-ჯერ – 1 496 ათასიდან 2 957 ათას ლარამდე გაიზარდა **საარსებო შემწეობებზე** გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 22 146 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 5 538 ათასი, შშმ პირებზე – 1 921 ათასი, ბავშვებზე – 7 781 ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ჩოხატაურში, სოციალური პაკეტით სარგებლობს 936 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,3-ჯერ – 260 747-დან 1 647 688 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 10 452 282 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 91 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 31 864 ლარიდან 50 805 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 395 658 ლარი. **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 5 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 4 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 1 ოჯახს დაუკანონდა. ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ჩოხატაურში, დაფინანსებულია 115 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 112 500 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 207 850 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე – 1 794 165 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს -მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 867 ოჯახი, 2021 წელს – 931 ოჯახი (ივნისის მონაცემები). **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ჩოხატაურში, 2020 წელს, ისარგებლა 231-მა პირმა, 2021 წ. 242-მა პირმა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), ჩოხატაურში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 242 პირი, 2021წ. – 242 (ივნისის მდგომარეობით).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დაცვის სფეროში ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები როგორიცაა, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება, დევნილთა დახმარება, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები;
- 2022-2024 წლებში, დამატებით ამოქმედდება პროგრამები, რომლის ფარგლებში განხორციელდება უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფა და ვეტერანის დღესთან დაკავშირებით ფინანსური დახმარების გაწევა – ვეტერანებისათვის ღირსეული პატივის მიგება.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. ჩოხატაურში ფუნქციონირებს ა(ა)იპ სს „მომავალი“, 19 მუნიციპალური საბავშვო ბაღი. მათგან 3 – დაბაში, ხოლო 16 – სოფლად.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩოხატაურში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1,6 მლნ ლარი შეადგინა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 505 ათასი ლარით განისაზღვრა.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის:

2014 წელს – რეგიონული ფონდიდან სახელმწიფო დაფინანსებით განხორციელდა დაბა ჩოხატაურში №1 და №2 ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია (132 ათასი ლარი); სამების საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (16,1 ათასი ლარი); იანეულის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (18 ათასი ლარი); ამაღლების საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (15 ათასი ლარი); ზოტში საბავშვო ბაღის მშენებლობა (123 ათასი ლარი); ერკეთში საბავშვო ბაღის მშენებლობა (65,6 ათასი ლარი); საჭამიასერის საბავშვო ბაღის რემონტი (9,8 ათასი ლარი); იანეულის საბავშვო ბაღის შეკეთება, მეორე ეტაპი (9 ათასი ლარი); ხევი, ბჟოლიეთი – საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (15,3 ათასი ლარი); **2015 წელი –** ქვენობანში, ბუკნარსა და კოხნარში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (69,2 ათასი ლარი); სამების საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (48,9 ათასი ლარი); ხევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (49,1 ათასი ლარი); ამაღლების საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (82,8 ათასი ლარი); 2016 წელი – ხიდისთავის საბავშვო ბაღის მშენებლობა (200 ათასი ლარი). **2017 წელს –** რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ბასილეთის საბავშვო ბაღს (58,8 ათასი ლარი); 2018 **წელს** – სოფელ ბუკისციხეში აშენდა 25 ბავშვზე გათვლილი საბავშო ბაღი (150 ათასი ლარი); ზომლეთის საბავშვო ბაღს ჩაუტარდა რეაბილიტაცია (66,5 ათასი ლარი), ასევე, განხორციელდა ძველი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია მასში საბავშვო ბაღის, ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრის განთავსების მიზნით (151, 9 ათასი ლარი)

2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ **19 ბაღს** ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოგვარდა **სურსათის უვნებლობის მიერ მითითებული პრობლემები** (228,4 ათასი ლარი); **დასრულდა ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ საჭამიასერში და ჩოხატაურის №2 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია** – 224 945 ლარი (რეგიონული ფონდიდან 2020– 2021 წ.წ.)

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 531-დან 700-მდე გაიზარდა. 1,3-დან 3 ლარამდე გაიზარდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი.

სასკოლო მზაობის პროგრამა ხორციელდება დაბის 3 საბავშვო ბაღსა და სოფლის 2 ალტერნატიულ ცენტრში. პროგრამაში ჩართულია 78 ბავშვი და 6 აღმზრდელ-პედაგოგი. სკოლამდელი აღზდის დაწესებულებებში დასაქმებულია 70 **აღმზდელი, ექიმი/ექთანი** ემსახურება ყველა საბავშვო ბაღს. გადამზადდა სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების აღმზრდელები, სურსათის უვნებელყოფის სპეციალისტები, ა(ა)იპ სს ..მომავალის“ სპეციალისტები, ყველა სკოლამდელ საგანმნათლებლო დაწესებულებაში ჩატარდა რემოტი, მოეწყო სველი წერტილები.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 საჯარო და 1 ა(ა)იპ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა (მათგან 3 – მთის სტატუსის მქონე დასახლებაში), საჯარო სკოლებში 2148 მოსწავლე, 522 მასწავლებელი, 24 სპეცმასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2021 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია **103 სსსმ მოსწავლე.** 1 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 2 მანდატური იცავს. ხოლო იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არ არიან, გადამზადდა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი/დირექტორის მოადგილე).

ზოგადი განათლების სფეროში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში: წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით, 2018-2020 წლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიდან გამოვლინდა 32 **ოქროსა** და 7 **ვერცხლის მედალოსანი**; საზაფხულო სკოლების პროგრამაში, 2017-2020 წლებში, **საზაფხულო სკოლებში** მონაწილეობდა 170 მოსწავლე; **‚საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით 30 საჯარო სკოლის (106 მიმართულება) 1167 მოსწავლე სარგებლობს; ჩოხატაურის 4 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს **ექიმის კაბინეტი, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება დამატებით 3 სკოლაში.** 2017-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში** მონაწილეობა მიიღო 650 მოსწავლემ, **სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში** – 740-მა; ამავე პერიოდში სულ მუნიციპალიტეტში 55 550 **სახელმძღვანელო** და 1 050 **ჟურნალი** დარიგდა. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** პორტაბელური კომპიუტერები გადაეცა 560 პირველკლასელს, 72 დამრიგებელსა და 49 წარჩინებულ მოსწავლეს. **2020 წლის** სექტემბერში პროგრამის ფარგლებში, პორტაბელური კომპიუტერები გადაეცათ 203 პირველკლასელსა და 18 წარჩინებულ კურსდამთავრებულს. **რადიოტექნოლოგიით და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფილია 25 საჯარო სკოლა, ხოლო დანარჩენ 7 სკოლას (ზემოსურები, შუასურები, დიდივანი, ჩხაკოურა, ზოტი, ქვაბღა, ნაბეღლავი) ინტერნეტი მიეწოდებათ 3G მოდემით. 2019 წელს ზოტის საჯარო სკოლას გადაეცა 14 კომპიუტერი. ზოტის სკოლა, სსიპ ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის № 1 საჯარო სკოლასთან ერთად, ჩართულია **„ახალი სკოლის მოდელში“. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

2013-2020 წლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა ჩოხატაურის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 38 პროექტი. მათ შორის:

2013 წელს – რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 სკოლას (ჩაისუბნის, დაბლაციხის, შუაფარცხმას, ბუკნარის, ჩხაკაურას, ამაღლების, გორაბერეჟოულის, ფარცხმის, ხიდისთავის, ვანზომლეთის – ზომლეთის დაწყებითი და შუაფარცხმის), რაზეც სულ 567,9 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს –** განხორციელდა 5 სკოლის (ხიდისთავის, გორაბერეჟოულის, ნაბეღლავის, ჩხაკოურის, ჩოხატაურის №1) რეაბილიტაცია, რაზეც სულ 272 ათასი ლარი დაიხარჯა და წიფნარის საჯარო სკოლის მშენებლობა (699,7 ათასი ლარი); **2015 წელს –** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 სკოლას (ხიდისთავის, ბუკნარის, გოგოლესუბნის, ნაბეღლავის, სამების, ფარცხმის, შუაფარცხმის, ბასილეთის, ხიდისთავის, იანეულის, კოხნარის, ხევისა და გოგოლესუბნის), რაზეც სულ 1 მლნ 180,5 ათასი ლარი დაიხარჯა. **2017 წელს –** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასრულდა ზოტის სკოლის მშენებლობა, დაიხარჯა – 1 მლნ 324,2 ათასი ლარი, ასევე დასრულდა შუა ამაღლების სკოლის მშენებლობა – 2 მლნ 80 ათასი ლარი. რეაბილიტირდა 4 სკოლა (ნაბეღლავის, იანეულის, ბასილეთისა და ჩოხატაურის №1) – 469,8 ათასი ლარი; დაბა ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლაში მოეწყო სადრენაჟე 108,9 ათასი ლარი; საჯარო სკოლებს რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის 8 სოფელში (ჯამურად 501, 1 ათასი ლარი). **2018 წელს –** სოფელ ნაბეღლავის საჯარო სკოლაში მოეწყო და ინვენტარით აღიჭურვა სამედიცინო ოთახი (3,2 ათასი ლარი); სოფელ შუა სურების საჯარო სკოლისთვის სხვადასხვა ინვენტარისა და აღჭურვილობის შესაძენად დაიხარჯა 15,4 ათასი ლარი, ელექტროენერგიის სიმძლავრის გასაზრდელად 6,6 ათასი ლარი;

2019 წელს, სკოლების სახელმწიფო პროგრამიდან დაფინანსდა: ხიდისთავის საჯარო სკოლაში სახურავისა და ფასადის რეაბილიტაცია, ასევე დაბა ჩოხატაურის ნიკო მარის სახელობის №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (151 ათასი ლარი); განხორციელდა სოფელ ჯვარცხმის, კოხნარის, ზემო ფარცხმის, შუა ფარცხმის, ბუკნარის, იანეულის საჯარო სკოლებში სველი წერტილების, ფასადებისა და სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები (145,5 ათასი ლარი); სოფელ ამაღლების სიკო დოლიძის სახელობის სკოლაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია და სადრენაჟე არხის მოწყობა (42 ათასი ლარი); სოფელ ხევის საჯარო სკოლაში მოეწყო დამცავი ეკრანი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა შიდა ოთახებს, სოფელ **წიფნარის** საჯარო სკოლაში განხორციელდა სარინელის მოწყობისა და კედლების სარეაბილიტაციო სამუშაოები (45,325 ლარი); სოფელ იანეულში, საჯარო სკოლის შენობის უკან, მოეწყო სადრენაჟე არხი (12,6 ათასი ლარი); დასრულდა შუა სურების მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლის, შუა ამაღლებისა და ზოტის საჯარო სკოლების მშენებლობა; **მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 ადაპტირებული საჯარო სკოლა, ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფილია 12.**

2020 წლის სკოლების სახელმწიფო პროგრამით ცენტრალური გათბობა მოეწყო სსიპ ნიკო მარის სახ. დ. ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლაში (80,746 ათასი ლარი); ჩატარდა სველი წერტილების რეაბილიტაცია სოფ. ბუკნარის (121,523 ლარი), ამაღლების (119,688 ლარი); ასევე დაბლაციხის, დიდივანის, ზემოხეთის, იანეულის, კოხნარის, ფარცხმის, შუა ამაღლების, ხიდისთავის საჯარო სკოლებში (ჯამურად **424 765 ლარი).** სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა საჯარო სკოლებს სოფლებში: დაბლაციხე, ხიდისთავი, იანეული, კოხნარი, დაბა (ჯამურად 407 ათასი ლარი).

2021 წლის სკოლების სახელმწიფო პროგრამიდან დაფინანსებულია სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის სახურავის რემონტი (217 ათასი ლარი); ასევე სოფელ გუთურში აშენდა ახალი, 120 ბავშვზე გათვლილი საჯარო სკოლა (2,4 მლნ ლარი); ერკეთში აშენდა ახალი, 90 ბავშვზე გათვლილი საჯარო სკოლა (1,7 მლნ ლარი);

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიდინარეობს სოფელ ბაკურციხის, ვანზომლეთისა და სამების საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია (ჯამურად 7 110 548 ლარი) და ჩხაკაურას, 60 ბავშვზე გათვლილი, საჯარო სკოლის მშენებლობა (1 257 000 ლარი).

ᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

საჭიროებების შესწავლის საფუძველზე შემუშავებული ქვეყნის მასშტაბით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების გეგმის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ გორაბერეჟოულში, შეიქმნა პროფესიული განათლების შესაძლებლობა.

გორაბერეჟოულის ისტორიული პროფესიული სასწავლებლის ტერიტორიაზე კოლეჯ „ჰორიზონტის“ ფილიალის მშენებლობა და შენობის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით აღჭურვის პროცესი 2021 წელს დასრულდა.

მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა კერძო სექტორის დაინტერესებისა და დასაქმების პერსპექტივების არსებობას ეფუძნება;

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასწავლებელი 100 სტუდენტზეა გათვლილი და იგი 2021 წლიდან მიიღებს პროფესიულის სტუდენტებს როგორც რეგიონისთვის პრიორიტეტული სოფლის მეურნეობის დარგების – მევენახეობის, მეფუტკრეობის, სატყეო საქმის, ასევე, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სხვა მიმართულებების სადიპლომო პროგრამებზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების გადამუშავების კუთხით მოკლევადიან მომზადება-გადამზადების კურსებსაც განახორციელებს.

ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა.

2021 წლის მდგომარეობით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ერთი პროგრამაა ხელმისაწვდომი, რომელსაც ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია ახორციელებს.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან** მაღალმთიანი სტატუსის მქონე (გურიის რეგიონი – ჩოხატაური) სოფლების სკოლის კურსდამთავრებულები, 2018-2019 სასწავლო წელს გურიის რეგიონიდან დაფინანსდა 2, 2019-2020 სასწავლო წელს – 2, 2020-2021 სასწავლო წელს – 2 სტუდენტი.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, სოფელ **იანეულში აშენდება ახალი საბავშვო ბაღი;**
- საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია განხორციელდება ბუკნარში, საჭამიაში, კოხნარსა და ქვენობანში; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება **მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების** პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ჩოხატაურში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. 10 საჯარო სკოლა ჩასმულია სარეაბილიტაციო სკოლების ნუსხაში. ახალი სკოლა **აშენდება** სოფელ ჩხაკოურაში. ამაღლების, ბუკნარის, დიდივანის საჯარო სკოლებში მოეწყობა სველი წერტილები;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გორაბერეჟოულში კოლეჯ „ჰორიზონტის“ ახალი ფილიალის ამოქმედებასთან ერთად, გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების რაოდენობა.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, Ს�პᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, �პᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-�პᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

** მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, ა(ა)იპ „არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, 19 სასოფლო ბიბლიოთეკა, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მოსე გოგიბერიძის, ნიკო ბერძენიშვილის, ნოდარ დუმბაძისა და ნიკო მარის სახლ-მუზეუმები, გურიის ერისთავების ციხე-დარბაზი და დენდროლოგიური პარკი. ციხე-დარბაზს პატრონაჟს უწევს ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი. კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“ და სახალხო თეატრი.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2013 წლის ბიუჯეტით, კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 482 ათასი ლარით, 2020 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა 1 მლნ ლარი შეადგინა.

2014-2021 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება პოეზიის საღამოები, ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბის ღონისძიებები, ეწყობა გამოფენები, ტარდება საჯარო ლექციები აქტუალურ თემებზე, იმართება ფესტივალები, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეების საიუბილეო და სხვა მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებული ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტში არსებულ ბიბლიოთეკებში, ასევე, სისტემტურად იმართება საბიბლიოთეკო კვირეულები, პოპულარული მწერლების შემოქმედების განხილვა, ღვაწლმოსილ ადამიანებთან შეხვედრები და სხვა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები.

ოზურგეთის კულტურის ცენტრთან არსებულმა სახალხო თეატრმა მაყურებელს 2018-2019 წლებში, ორი საპრემიერო სპექტაკლი შესთავაზა.

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში შემავალ სამუსიკო სკოლაში ირიცხება 157 მოსწავლე, სამხატვრო სკოლაში – 180 მოსწავლე,, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში – 120 მოსწავლე, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ რეგიონისა და რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებსა და კონკრსებში.

2014-2021 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობა, იანეულში კულტურის სახლის შეკეთება, ზემო ფარცხმის, ამაღლების, ჯვარცხმის, ბუკისციხის, შუა ამაღლების კულტურის სახლების რეაბილიტაცია, ზომლეთში კულტურის ცენტრის ოთახში ელექტრომონტაჟისა და იატაკის მოწყობა, ქვენობანში ბიბლიოთეკის რემონტი, გოგოლესუბანში ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია და სარემონტო სამუშაოები, ნაკადულში ახალგაზრდული ცენტრის რეაბილიტაცია, რაზეც სულ 3 მლნ ლარი დაიხარჯა. მათ შორის:

2015-2016 წლებში, დაბა ჩოხატაურში, კულტურის სახლის მშენებლობაზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2,5 მლნ ლარი დაიხარჯა;

2015 წელს რეგიონული განვითარების ფინდიდან დაფინანსდა: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩოხატაურში სამხატვრო გალერეისთვის შენობის რეაბილიტაცია (63,9 ათასი ლარი); სოფ.ზემო ფარცხმის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (19,9 ათასი ლარი); სოფ. ბუკისციხეში კულტურის სახლის რეაბილიტაცია (38,5 ათასი ლარი); სოფ. შუა ამაღლების კულტურის სახლის რეაბილიტაცია (48,4 ათასი ლარი);

2016 წელს რეგიონული განვითარების ფინდიდან დაფინანსდა: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჯვარცხმის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, რაზეც 143,3 ათასი ლარი დაიხარჯა;

2017 წელს რეგიონული განვითარების ფინდიდან დაფინანსდა: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ამაღლებაში კულტურის სახლის რეაბილიტაცია (123 ათასი ლარი); სოფ. ვანში ძველი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრის განთავსების მიზნით და სოფ. გორაბერეჟოულში, ხანძრის შედეგად დაზიანებული, ყოფილი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის დასრულება (89 ათასი ლარი);

2019 წელს – მუსიკალური სასწავლებლის რეაბილიტაციაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 277, 989 ლარი დაიხარჯა; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზომლეთში განხორციელდა ძველი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია საბავშვო ბაღის, ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრის მოსაწყობად, რაც 102 ათასი ლარით დაფინანსდა; სოფელ კოხნარში მოეწყო საზოგადოებრივი ცენტრი (380 ათასი ლარი), დასრულდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია (97,3 ათასი ლარი);

„საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის“ ფონდის დაფინანსებით, მიმდინარეობს შუა ამაღლების უდაბნოს ტაძრის რეაბილიტაცია;

2020 წელს – საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, განხორციელდა ერკეთის დედათა სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია;

ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ გორაბერეჟოულში არსებულ გურიის ერისთავების ციხე-დარბაზს, რომელიც შესულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში .

დაბა ჩოხატაურში მოეწყო საზოგადოებრივი ცენტრი – 620 ათასი ლარი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ჩოხატაურის კომპლექსური სასპორტო სკოლა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“,

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წლის ბიუჯეტით სპორტის **ხარჯები 646 ათასი ლარით** განისაზღვრა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 271,5 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ფეხბურთი, რაგბი, ლელო, ბალახის ჰოკეი, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, მძლეოსნობა, ჭადრაკი, ბილიარდი, ჩოგბურთი, ცხენოსნობა, ნარდი და ფუტზალი.

მუნიციპალიტეტის სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ მუნიციპალურ, რეგიონულ, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებში და საუკეთესო შედეგებს აღწევენ. მათ შორისაა.: ფეხბურთი – გურია-აჭარის ზონაში კვაჭაძის, ჟორდანიასა და დუნდუას თასების გათამაშებები, **რაგბი –** დასავლეთ საქართველოს სარაგბო ფესტივალები, **ჰოკეი** – საქართველოს პირველობებსა და რესპუბლიკურ ტურნირებზე, **თავისუფალი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა და ძიუდო –** საქართველოს პირველობებსა და რესპუბლიკურ ტურნირებში, მძლეოსნობა – საქართველოს პირველობებზე, **ჭადრაკი –** საქართველოსა და მსოფლიო პირველობებზე, **ბალახის ჰოკეი** – საქართველოს პირველობებსა და რესპუბლიკურ ტურნირებზე, მუნიციპალიტეტიდან ნაკრების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის პირველობაზე.

სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრში ირიცხება 243 სპორტსმენი და 16 მწვრთნელი, მათ შორის, 5 – ლიცენზირებული. ჩოხატაურელი სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახეობის სპორტულ შეჯიბრებებში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

სპორტული ცენტრის წარმომადგენელი **ძიუდოისტები და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები** საქართველოს რესპუბლიკური ტურნირის პრიზიორები გახდნენ.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა II-III ადგილები მოიპოვეს.

ბალახის ჰოკეისტებმა საქართველოს ჩემპიონატზე III ადგილი დაიკავეს.

ჩოხატაურელი ბაზიერები კი საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.

ტაილანდური კრივის სახეობაში მოასპარეზე სპორტსმენები ბაქოს საერთაშორისო ტურნირის პრიზიორები არიან.

აიპ საფეხბურთო კლუბ „ბახმაროში“ ირიცხება 22 სპორტსმენი და 12 მწვრთნელი. კლუბი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-3 ლიგაში ასპარეზობს.

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება ღონისძიებები, რომლებიც ეძღვნება ევროპის სპორტის კვირეულსა და საერთაშორისო დღეს **„სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის“.**

2014-2021 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: მამუ-

ლარში სპორტული მოედნის მოწყობა (11,2 ათასი ლარი); ქაქიეთში მინი სტადიონის მოწყობა (5,9 ათასი ლარი); მამულარში მინი სტადიონის მოწყობა (6,8 ათასი ლარი); ქაქიეთში მინი სტადიონის შეღობვა (2,3 ათასი ლარი); ბჟოლიეთის ცენტრში საფეხბურთო სტადიონის მოწყობა (6,3 ათასი ლარი); ბჟოლიეთის საფეხბურთო სტადიონზე გრუნტოვანი საფარის მოწყობა (1,1 ათასი ლარი); საყვავისტყეში საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაციის დასრულება (7,9 ათასი ლარი).

2018 წელის – გოგებაშვილის ქუჩაზე მოეწყო მინი საკალათბურთო სტადიონი, რაზეც 54,5 ათასი ლარი დაიხარჯა;

2020 წელს ახალი მინისტადიონები მოეწყო: სოფელ ხევში – 105 ათასი ლარი; დაბა ჩოხატაურში, ჯალაღანიასა (117 ათასი ლარი) და აღმაშენებლის ქუჩებზე (66 ათასი ლარი); სოფელ ხიდისთავში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ მოედანს – 159 ათასი ლარი; დაბა ჩოხატაურში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტდარბაზს – 80,3 ათასი ლარი.

2019 წელს რეგიონული ფონდიდან დაფინანსდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სოფელ ჩომეთსა და სოფელ კოხნარში სპორტული მოედნების რეაბილიტაცია – 62.4 ათასი ლარი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ქვენობის ადმინისტრაციულ ერთეულში – სოფელ ბუკნარში მინისტადიონის მოწყობა – 90.3 ათასი ლარი;

2020 წელს რეგიონული ფონდიდან დაფინანსდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მინისპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები – 99,3 ათასი ლარი; სოფელ ხიდისთავში ფეხბურთის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 159,2 ათასი ლარი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, აღმაშენებლის ქუჩაზე, სპორტული მოედნის მოწყობა – 63,0 ათასი ლარი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ჯალაღანიას ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა – 111,3 ათასი ლარი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სპორტდარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები – 80,3 ათასი ლარი;

2021 წელს რეგიონული ფონდიდან დაფინანსდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვენობანში მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები – პროექტის ღირებულება 125 ათასი ლარი.

2013-2018 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტში 1 ქუჩის საგარეჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (27,6 ათასი ლარი) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (7,3 ათასი ლარი). ჩატარდა სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტები განახორციელა:

მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); **„საქართველოს თასი ლაშქრობაში“** (მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა **კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.**

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ ა(ა)იპ **„ამაღლების ახალგაზრდობის ცენტრმა“** განახორციელა პროექტი **„სკვერი ამაღლება“** (4,1 ათასი ლარი). პროექტის მიზანი იყო სოფლის მოსახლეობისთვის სუფთა, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც სხვადასხვა ნარგავის გაშენებასა და სკვერის კეთილმოწყობასაც ითვალისწინებდა.

2020 წელს ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარების მიმართულებით, ჩოხატაურის 1 ორგანიზაციის 3 თანამშრომელი გადამზადდა სხვადასხვა მიმართულებით. აქედან 1 მათგანის გადამზადება დაიწყო ახალგაზრდული მუშაკის სასერტიფიკატო პროგრამით;

2020 წელს ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოში იყო ჩოხატაურის ორგანიზაციის 1 წარმომადგენელი;

2021 წელს სსიპ-ახალგაზრდობის საagენტოსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელშიც გამოხატავენ აქტიურ თანამშრომლობას ახალგაზრდული კონცეფციის, ერთობლივი პროექტებისა და აქტივობების განხორცილების ხელშეწყობაში.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- დაგეგმილია მე-19 საუკუნის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია საპარკო-საბაღო ხელოვნების ძეგლებისთვის.
- 2022 წელი – ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, **განხორციელდება** ჩოხატაურის სასპორტო სკოლის სრული რეაბილიტაცია (250 ათასი ლარი); სპორტული მოედნების მოწყობა ჯვარცხმასა და კოხნარში (250 ათასი ლარი);
- დაგეგმილია სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები სოფელ ნაკადულში, ჯვარცხმაში, ბუქსიეთსა და გუთურში – 400 ათასი ლარი;
- სოფელ ქვენობნის ცენტრში სკვერისა და მინი სპორტული მოედნის მოწყობა – 100 ათასი ლარი;
- სოფელ ზოტში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები – 105 ათასი ლარი;
- რაგბის სტადიონზე გაკეთდება ტრიბუნები და გასახდელები სპორტსმენებისთვის, ასევე შენობაში არსებული ფიტნეს ოთახი აღიჭურვება თანამედროვე სპორტული ინვენტარით;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- 2021 წელს ჩატარდება ჩოხატაურში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროების კვლევა;
- შეიქმნება კვლევაზე დაფუძნებული ადგილობრივი ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- გადამზადდება ჩოხატაურის მერიის ახალაგზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინატორებად;
- ჩოხატაურიდან მობილური ახალგაზრდული მუშაკის გადასამზადებელ კურსში შეირჩა 3 ადამიანი;
- 2021 წლის სექტემბრიდან 2 წლის ვადით დასაქმდება 2 მობილური ახალგაზრდული მუშაკი;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის დიდი პატივი და ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ჩოხატაურში მერობის კანდიდატად დამასახელა. ეს არის შანსი და შესაძლებლობა, ვიშრომო და დავიხარჯო ჩვენი საყვარელი ჩოხატაურისთვის.

ჩემი ოჯახის სამი თაობა ჩოხატაურისა და ჩოხატაურელების სამსახურში იდგა. მზად ვარ, თქვენი გადაწყვეტილებით და თქვენთან ერთად, ეს ტრადიცია გავაგრძელო.

ყველანი კარგად ვხედავთ, რომ განხორციელებულ თუ მიმდინარე მასშტაბურ პროექტებთან ერთად, ჩოხატაურში დღეს არაერთი გამოწვევაა, რომელთაც მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ზედმიწევნით ვიცნობ და მაქვს იმის ცოდნა, რესურსი, თუ როგორ გადავჭრა და მოვაგვარო ეს პრობლემები. „ქართული ოცნების“ ერთიანი და ძლიერი გუნდის მხარდაჭერით, ერთიანი ძალისხმევით, კიდევ უფრო მეტ შედეგს მივაღწევთ და ეს ჩვენი საერთო გამარჯვება იქნება.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.